

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

საერთო კრების ოქმი №6

8 დეკემბერი, 2012 წელი

კრების ჩატარების ადგილი :

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 1

თბილისი ივანე ჯავახიშვილი სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი

დღის წესრიგი:

- ეთიკის კომისიის წევრების იური ვაზაგაშვილის (არაადვოკატი წევრი), დათუნა მოდებაძის,
- კახაბერ წერეთლის და არჩილ კბილაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა პირადი
- განცხადების საფუძველზე.
- ადვოკატთა ასოციაციიდან გარიცხვის საფუძველზე სარევიზიო კომისიის წევრის დიტო
- ტორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

ა) იური ვაზაგაშვილის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის ახალი არა ადვოკატი წევრის არჩევა;

ბ) ადვოკატ დათუნა მოდებაძის დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის ახალი წევრის არჩევა;

გ) ადვოკატ არჩილ კბილაშვილის დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის ახალი წევრის არჩევა;

დ) დიტო ტორაძის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით სარევიზიო კომისიის ახალი წევრის არჩევა;

ე) ადვოკატ კახაბერ წერეთლის დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის ახალი წევრის არჩევა.

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- სასჯელადსრულების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების მიერ.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის და განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.
- ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.
- ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

- ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის შესახებ საკითხის განხილვა და ადვოკატთა საწევრო შენატანებიდან ფონდში შესატანი თანხის განსაზღვრა.

რეგისტრაცია დაიწყო 10:00 საათზე და კრების გახსნის დროს 12:00 წუთზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 480 ადვოკატი.

კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის– ზაზა ხატიაშვილის მისასალმებელი სიტყვით.

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან, დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის კანდიდატები: 1.დიმიტრი მიქელაძე, 2.ირმა ეხვია, 3.მამუკა ბასილაშვილი, 4.მამუკა ბლიაძე, 5.ზურაბ ჯღარკავა, 6.გიორგი ჭვინაშვილი, 7.ელგუჯა გავაშელი, 8.ანი გამყრელიძე, 9.მაია კილაძე, 10.მაკა ბერაძე, 11.მაია ჯულაყიძე, 12.ვახტანგ ჩარგეიშვილი, 13.ლელა ბურდული, 14.გოჩა შავაძე, 15.ირაკლი თეთრაული.

**მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:**

კენჭისყრის შედეგებით (მომხრე 479, წინააღმდეგი-1) დამტკიცდა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მაია კილაძე.

**პირველი საკითხი.**

**მოისმინეს:** კრების თავმჯდომარემ- ზაზა ხატიაშვილმა სახით წარადგინა ეთიკის კომისიის წევრების იური ვაზაგაშვილის (არაადვოკატი წევრი), დათუნა მოღებაძის, კახაბერ წერეთლის და არჩილ კბილაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი პირადი განცხადების საფუძველზე და ადვოკატთა ასოციაციიდან გარიცხვის საფუძველზე სარევიზიო კომისიის წევრის - დიტო ტორაძის უფლებამოსილების ვადამდე **შეწყვეტის** და აღნიშნული პირების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ეთიკის კომისიის 4 წევრის (მათ შორის 1 საზოგადოებრივი წევრი) და სარევიზიო კომისიის 1 (ერთი) წევრის **არჩევის** შესახებ საკითხი.

დახურულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი ეთიკის კომისიის წევრების იური ვაზაგაშვილის (არა ადვოკატი წევრი), დათუნა მოღებაძის, კახაბერ წერეთლის და არჩილ კბილაშვილის, სარევიზიო კომისიის წევრის-დიტო ტორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი იქნა კენჭისყრის შედეგები:

ბიულეტენების სრული რაოდენობა – 268

ბათილი 77

ეთიკის კომისიის წევრების იური ვაზაგაშვილი (არა ადვოკატი წევრი), დათუნა მოდებაძის, კახაბერ წერეთლის და არჩილ კბილაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხს მხარი დაუჭირა 281 ადვოკატმა, წინააღმდეგი 6.

ადვოკატთა ასოციაციიდან გარიცხვის საფუძველზე სარევიზიო კომისიის წევრის დიტო ტორაძის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს მხარი დაუჭირა 244 ადვოკატმა, წინააღმდეგი 24.

ეთიკის კომისიის წევრის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა კანდიდატებმა:

1. გრიგოლ გაგნიძე
2. გიორგი ქოიავა
3. დავით კვაჭანტირაძე
4. ირაკლი შონია
5. ლაშა ტულუში (არა ადვოკატი წევრი)

სარევიზიო კომისიის წევრის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა კანდიდატმა:

1. ანა ხარაიშვილი

**მოცემულ საკითხზე დაიწყო დახურული კენჭისყრა:**

კენჭისყრის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ მაია კილაძემ წარმოადგინა კენჭისყრის შედეგები:

სარევიზიო კომისიის წევრის დარჩენილი ვადით ჩატარებულ არჩევნებზე დაფიქსირდა 464 ბიულეტენი, ბათილად იქნა ცნობილი 21.

სარევიზიო კომისიის წევრის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, არჩევნებში მონაწილე კანდიდატს ანა ხარაიშვილს მხარი დაუჭირა 337 ადვოკატმა, წინააღმდეგი 6.

ეთიკის კომისიის წევრების დარჩენილი ვადით ჩატარებულ არჩევნებზე დაფიქსირდა 371 ბიულეტენი, ბათილად იქნა ცნობილი 39, აქედან არჩევნებში მონაწილე კანდიდატებზე ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. გრიგოლ გაგნიძე 154 ხმა
2. გიორგი ქოიავა- 196 ხმა
3. დავით კვაჭანტირაძე -206 ხმა
4. ირაკლი შონია – 166 ხმა

ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 371 ადვოკატმა; ბათილად იქნა ცნობილი 11 ბიულეტენი. აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატს ლაშა ტულუშს მხარი დაუჭირა 360 ადვოკატმა.

შედეგების მიხედვით სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ანა ხარაიშვილი, ხოლო ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ გიორგი ქოიავა, დავით კვაჭანტირაძე, ირაკლი შონია, ეთიკის კომისიის საზოგადოებრივ წევრად – ლაშა ტულუში.

აღნიშნულ საკითხზე დამატებითი მოსაზრებები არ გამოთქმულა. კრებამ მოიწონა და მიიღო ჩატარებული არჩევნების შედეგები.

### **მეორე საკითხი.**

**მოისმინეს:** კრების თავმჯდომარემ- ზაზა ხატიაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. (იხილეთ **დანართი №1**, ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ).

ზაზა ხატიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, რომელიც კრებაზე სტუმრად იყო მოწვეული. მან მიმართა ადვოკატებს და განაცხადა, პროკურატურის მთავარი მიზანია მართლმსაჯულების გაჯანსაღება და დახვეწა; ერთიანი სტანდარტების დამკვიდრება და ასოციაციასთან თანამშრომლობა; მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სამივე მხარეს (ადვოკატი, პროკურატურა, სასამართლო) შორის ბალანსის შენარჩუნება. ასევე, აუცილებელია დასრულდეს საქმეების ზედაპირული განხილვა, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. ამ მხრივ დაიხვეწება ეს სისტემა. ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს პროკურატურას შორის უნდა დამყარდეს ჯანსაღ და თანასწორობის პრინციპზე აგებული ურთიერთობა; მთავარი პროკურორის განცხადებით, იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის

გაფორმება ასოციაციასა და პროკურატურას შორის, რაც გაამარტივებს კომუნიკაციას და ხელს შეუწყობს მრავალმხრივ თანამშრომლობას. ასოციაცია უნდა გაათავისუფლდეს ხელისუფლებასთან მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში ყოფნისგან, ადვოკატის პროფესიის პატივისცემაზე ზრუნვა უნდა იყოს პროკურატურის ვალდებულება და ასოციაცია განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეს. დასასრულს, არჩილ კბილაშვილმა განცხადებით მიმართა ასოციაციის თავმჯდომარეს საადვოკატო უფლებამოსილების შექერების შესახებ.

საერთო კრებამ მოისმინა და მოიწონა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

### **მესამე საკითხი.**

**მოისმინეს:** თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი სასჯელადსრულების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ.

ზვიად კორძაძემ მიმართა კრებას და გააცნო ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ჩამოყალიბების ფორმას:

1. უფასო იურიდიული დახმარების სამსახური უნდა გამოვიდეს სასჯელადსრულების და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და ნებისმიერი სახის სახელმწიფო ორგანოების დაქვემდებარებიდან;
2. უფასო იურიდიული დახმარების სამსახური ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით;
3. იურიდიული სამსახურის მმართველი საბჭოს უმრავლესობა დაკომპლექტდეს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ;
4. უფასო იურიდიული დახმარების სამსახურმა მომსახურება გაუწიოს მხოლოდ სოციალურად დაუცველ პირებს;
5. მკაცრად განისაზღვროს სავალდებულო დაცვის კრიტერიუმები, რათა გამოირიცხოს უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ ბრალდებულის მიერ არჩეული ადვოკატების ჩანაცვლების მანკიერი პრაქტიკა;
6. განახლდეს და გაფართოვდეს უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის რეესტრის ადვოკატთა სია ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მონაწილეობის ხარჯზე;
7. უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა ეთიკის საკითხები იყოს ერთიანი სტანდარტით თვითრეგულირებადი და მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის კომპეტენცია;
8. დაევალოს აღმასრულებელ საბჭოს კრების აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა და რეგლამენტირება.

## აზრი გამოთქვას:

1. გიორგი ქოიავას მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ პირველ პრინციპში ჩაემატოს შემდეგი წინადადება: “და სხვა სახელმწიფო ორგანოების და უწყებების დაქვემდებარებიდან”.

საერთო კრებამ მოისმინა ზვიად კორძაძის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და გიორგი ქოიავას კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საერთო კრებამ მოიწონა და მიიღო უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მოწყობის პრინციპები კრებაზე დასახელებული ცვლილების დამატებით.

## მეოთხე საკითხი

1. **მოიმინეს:** კრების თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა წარადგინა მეოთხე საკითხი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის და განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. თავმჯდომარემ კრებაზე დამსწრე წევრებს გააცნო ასოციაციის სასწავლო ცენტრის და განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (იხ. დანართი №2).

მან დაამატა, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და ეთიკის კომისიის წევრების მიერ განხორციელდა გასვლითი შეხვედრები რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებთან განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით. თავმჯდომარის განცხადებით, ძალიან სასიამოვნოა, რომ ადვოკატთა კორპუსი დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობს განგრძობადი იურიდიული განათლების პროცესში.

## მეხუთე საკითხი.

**მოისმინეს:** ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ეკატერინე გასიტაშვილმა კრებას წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (იხილეთ დანართი №3, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ). ასევე მან მიაწოდა კრებაზე დამსწრე წევრებს მე-7 საკითხის შესახებ ინფორმაცია – ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით (დანართი №4) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება საერთო ჯამში ადვოკატთა ინტერესების სასარგებლოდ იყო ჩამოყალიბებული; კერძოდ,

ეთიკის კომისია გამოთქვამს მზადყოფნას ადვოკატებთან აქტიური კომუნიკაციის დამყარების მიზნით. ამ მიმართულებით დაინერგება პრაქტიკა, რაც გულისხმობს ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციების და განმარტებების გაცემას ყველა დაინტერესებული ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის თუ წერილობითი მომართვების საფუძველზე. აღნიშნული აქტივობა ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ამომწურავი და კვალიფიციური ინფორმაცია მათთვის საინტერესო და პრობლემატურ შეკითხვებზე. დასასრულს, ეკატერინე გასიტაშვილმა სთხოვა დამსწრე საზოგადოებას გაცნობოდნენ ხსენებული ცვლილებების პროექტს, რომელიც მათ კრების დაწყებამდე დაურიგდათ და სურვილისამებრ, მიემართათ შეკითხვებით.

აღნიშნულ საკითხზე დამატებითი მოსაზრებები არ გამოთქმულა.

**მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა, კენჭისყრის დაწყების დროს, კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა იყო 283 ადვოკატი.** კენჭისყრის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტს მხარი არ დაუჭირა 5 წევრმა, ხმათა უმრავლესობით 278 ხმა 5-ის წინააღმდეგ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი დატკიცებულ იქნა კრებაზე წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი №4).

**საერთო კრებამ მოიწონა და მიიღო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2012 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

## **მექესე საკითხი.**

**მოისმინეს:** ეთიკის კომისიის წევრმა ირაკლი კორძახიამ წევრებს წარუდგინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი (დანართი №5). მან განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი გასულ წელს, საერთო კრებაზე იყო წარმოდგენილი, თუმცა ქვორუმის არარსებობის გამო, საკითხის კენჭისყრაზე დაყენება გადაიდო. მან გააკეთა განმარტება, რომ აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა აღმასრულებელი საბჭოს და ეთიკის კომისიის წევრების გარდა, მოიცავდა წარმომადგენლებს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მან მიმართა წევრებს, გაცნობოდნენ ცვლილებების პაკეტს, რომელიც კრების დაწყებამდე დაურიგდა ყველა მათგანს და დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება. ირაკლი კორძახიამ გააკეთა მოკლე განმარტება ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქმეს:**



1. ადვოკატ **ალექსი კობაიძის** მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ მისთვის მიუღებელია წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი და იგი არ ეთანხმება პროექტში წარმოდგენილ არცერთ მუხლს. მისი განმარტებით, ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანა უნდა ხდებოდეს არა ეთიკის კომისიის, არამედ საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რადგან წარმოდგენილი ცვლილებები ზღუდავს ადვოკატებს და ისინი ხდებიან ეთიკის კომისიაზე დამოკიდებულნი. მან განაცხადა, რომ პროექტის მე-2 მუხლში მითითებული ფრაზა “საქართველოს კანონმდებლობა” უნდა ჩანაცვლდეს “საქართველოს კონსტიტუციით”, ასევე ცნება “ადვოკატი” შეიცვალოს “უფლებადამცველით”.

ასოციაციის თავმჯდომარემ- **ზაზა ხატიაშვილმა** განმარტა, რომ მისთვის მიუღებელია ალექსი კობაიძის მიერ გამოთქმული შენიშვნა, რადგან ასეთ შემთხვევაში ასოციაცია დაკარგავს დამოუკიდებლობას. იგი თვლის, რომ სახელმწიფოს ჩარევა ადვოკატის პროფესიაში უნდა იყოს მინიმალური. პარლამენტმა, როგორც საკანონმდებლო ორგანომ უნდა იმსჯელოს ადვოკატთა უფლებების ინსტიტუციონალურ დაცვაზე, მაგრამ საერთო კრება უნდა იყოს უფლებამოსილი და არა პარლამენტი, შეიტანოს ცვლილებები ადვოკატთა ეთიკის კოდექსში. ასევე, მან დაამატა, რომ არცერთ განვითარებულ ქვეყანაში ცნება “ადვოკატის” ნაცვლად არ განიყენება ცნება “უფლებადამცველი” და იგი არ იზიარებს ამ შენიშვნას.

**ზვიად კორძაძის** მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ მას ეთიკის კოდექსის მიღება პარლამენტის მიერ არ მიაჩნია მიზანშეწონილად. ადვოკატთა ეთიკის კოდექსზე გადაწყვეტილებას ადვოკატთა საერთო კრება უნდა იღებდეს და არა საკანონმდებლო ორგანო. მან მიმართა საერთო კრებას და განუმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის პროექტი და საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს ან არ მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**დავით ჯალაბაძის** მიერ გამოთქმულ იქნა განსხვავებული მოსაზრება ცვლილებებთან დაკავშირებით; მან განაცხადა რომ ვინაიდან, ეთიკის კოდექსი არის ადვოკატთა სახელმძღვანელო დოკუმენტი, სასურველია იყოს უფრო დახვეწილი; კერძოდ, მან გამოთქვა შენიშვნები შემდეგ მუხლებზე: წარმოდგენილი პროექტის 1 მუხლში მას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მუხლის ბოლო წინადადებას დაემატოს ფრაზა “შინაგან რწმენას”; მე-4 მუხლის 1 პუნქტში დაემატოს ფრაზა “უშუალოდ საქმესთან დაკავშირებით”; მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნას, მე-8 მუხლის მე-11 ნაწილში დაემატოს წინადადება “მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული სხვა საშუალებები”.

**ირაკლი კორძახიამ** განმარტა, რომ ჩამოთვლილი შენიშვნებში გათვალისწინებული ინფორმაცია უკვე არსებობს ეთიკის კოდექსში. კრების დღის წესრიგის მიხედვით, კრებაზე განიხილება ეთიკის კოდექსში დასამატებელი

ცვლილებები და არა არსებული კოდექსი. ზაზა ხატიაშვილმა განმარტა, რომ ასოციაციის ვებ-გვერდზე ერთი წლის განმავლობაში იყო განთავსებული წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი. ამ ხნის განმავლობაში, სასურველი იქნებოდა, შენიშვნის ინიციატორებს წერილობითი განცხადება წარედგინათ კონკრეტული შენიშვნის შესახებ ეთიკის კომისიაში და დაამატა, რომ კრების დღის წესრიგში მითითებული საკითხების გარდა, სხვა საკითხების განხილვა არ მოხდება.

**კახაბერ ქარდავას** მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მე-8 მუხლის მე-10 პუნქტში დაემატოს წინადადება “გარდა კანონმდებლობით დაშვებული მითითებული ანაზრაურებისა” და აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი სასურველია უფრო დაზუსტებული ფორმით ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

შენიშვნების მოსმენის შემდეგ, **ზაზა ხატიაშვილის** და **ირაკლი კორძახიას** მიერ გაკეთდა განმარტება, რომ წარმოდგენილი შენიშვნები უკვე გათვალისწინებულია ეთიკის კოდექსში. კრებაზე განიხილება მხოლოდ ცვლილებების პროექტი. კრება არ მსჯელობს ეთიკის კოდექსში უკვე არსებული ნორმების გაუქმების შესახებ.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ორ ეტაპად ჩატარდებოდა კენჭისყრა. პირველ ეტაპზე კენჭისყრაზე დადგებოდა საკითხი ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის მიღების შესახებ კრებაზე წარმოდგენილი სახით, ხოლო შემდეგ – მუხლობრივად, კრებაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით.

**მოცემულ საკითხზე** (ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის მიღების შესახებ წარმოდგენილი სახით) **დაიწყო ღია კენჭისყრა: კენჭისყრის დაწყების დროს, კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა იყო 283 ადვოკატი.** კენჭისყრის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის მიღებას წარმოდგენილი სახით მხარი არ დაუჭირა 10 წევრმა, ხმათა უმრავლესობით 273 ხმა 10-ის წინააღმდეგ პროფესიული ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი დატკიცებულ იქნა კრებაზე წარმოდგენილი სახით (**დანართი №5**).

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, პროფესიული ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი დატკიცდა კრებაზე წარმოდგენილი სახით, აღარ არის საჭირო აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრა კრებაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით და მეორე ეტაპის კენჭისყრა გაუქმებულად გამოაცხადა.

**მეშვიდე საკითხი.**

**მოისმინეს:** თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების განხილვის და დამტკიცების შესახებ, კერძოდ, მან განაცხადა, რომ

ვინაიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისი მდებარეობს ახალ მისამართზე, წესდების მე-3 მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი ფორმულირებით: “საქართველო, თბილისი, 0179, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 36”.

ასევე, ადვოკატთა მოწმობები შეიცვალა პლასტიკური ბარათებით, რისთვისაც აუცილებელია ფოტო სურათის წარმოდგენა ელექტრონული ვერსიის სახით, ამდენად წესდების მე-8 მუხლის, 8.2 პუნქტში უნდა შევიდეს დამატება შემდეგი ფორმულირებით: “1 ფოტოსურათი CD დისკზე.”

ასოციაციის წესდებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ კრებას გააცნო მერვე საკითხი – ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება საწევროდან გადარიცხულ თანხაზე და შემოწირულობებზე. კრებაზე დამსწრე წევრებთან ერთად მსჯელობის შემდეგ, თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის და საწევრო გადასახადიდან 5%-ის აღნიშნულ ფონდში გადარიცხვის შესახებ. კენჭისყრის დაწყების დროს, კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა იყო 283 ადვოკატი. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საკითხს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის და საწევრო გადასახადიდან 5%-ის აღნიშნულ ფონდში გადარიცხვის შესახებ მხარი არ დაუჭირა 5 წევრმა, ხმათა უმრავლესობით 278 ხმა 5–ის წინააღმდეგ, ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის და საწევრო გადასახადიდან 5%-ის აღნიშნულ ფონდში გადარიცხვის შესახებ საკითხი დატკიცებულ იქნა წარმოდგენილი სახით (დანართი №6).

კენჭისყრის შედეგების თანახმად, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის და საწევრო გადასახადიდან 5%-ის აღნიშნულ ფონდში გადარიცხვის შესახებ.

დასასრულს, თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები შემდეგი სახით ჩამოყალიბდება ასოციაციის წესდებაში (დანართი №7):

- წესდების 29-მუხლის, 29.4 პუნქტს დაემატოს წინადადება შემდეგი ფორმულირებით: “საწევრო შენატანიდან 5 % შემოწირულობის სახით გადარიცხება ადვოკატის დაცვის ხელშეწყობის ფონდში”.
- წესდების მე-3 მუხლში შევიდეს ცვლილება შემდეგი ფორმულირებით: “საქართველო, თბილისი, 0179, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 36”.
- წესდების მე-8 მუხლის, 8.2 პუნქტში დაემატოს წინადადება შემდეგი ფორმულირებით: “1 ფოტოსურათი CD დისკზე.”

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა ამოიწურა.

კრებაზე საკითხები განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტით.

17:10 წუთზე, კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

**ზაზა ხატიაშვილი**

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე**